გამოიჩინე სიფრთხილე!

ყოველთვის უნდა ეცადო, რომ ბანკომატი დღის განმავლობაში გამოიყენო – სასურველია, ხალხმრავალ ქუჩაში. თუ ბანკომატს ღამის საათებში იყენებ, აუცილებლად დარწმუნდი, რომ ის სივრცე, სადაც ბანკომატია განთავსებული, კარგად არის განათებული. გამოიჩინე განსაკუთრებული სიფრთხილე, თუ ბანკომატის სიახლოვეს სხვა ადამიანებსაც შენიშნავ. დადექი ბანკომატთან ახლოს, რათა არავინ დაინახოს, თუ რა ინფორმაცია შეგყავს აპარატში და რა ინფორმაციაა მოცემული შენს ბარათზე (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა, უსაფრთხოების (cvv) კოდი). ყურადღება მიაქციე თავად აპარატსაც: თუ ატყობ, რომ ბანკომატს (მათ შორის, ბარათის შესაცურებელ ჭრილს) დაზიანებები აქვს, ზედმეტად ნელა მუშაობს, ან სხვა აშკარა პრობლემები აქვს, მაშინ არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენო ეს ბანკომატი და ამ პრობლემის შესახებ აცნობე ბანკს.

მოათავსე საბანკო ბარათი ბანკომატში

მოათავსე ბარათი ბანკომატის სპეციალურ ჭრილში. ჩვეულებრივ, ბანკომატის ეკრანი ან ციმციმა განათებები მიუთითებს, თუ სად უნდა მოათავსო ბარათი. თუ შენს საბანკო ბარათს საქართველოს გარეთ იყენებ, მაშინ შესაძლოა ბანკომატის გამოყენების სანაცვლოდ დამატებითი საკომისიოს გადახდა მოგიწიოს.

აირჩიე ენა

ბანკომატები, ჩვეულებრივ, მომსახურებას რამდენიმე ენაზე გვთავაზობენ. ბარათის მოთავსების შემდეგ ბანკომატი მოგცემს საშუალებას აირჩიო, თუ რომელ ენაზე გსურს მომსახურების მიღება.

შეიყვანე პინ–კოდი

პინ–კოდი შენი პერსონალური, საიდუმლო კოდია. ის 4–ნიშნა პაროლს წარმოადგენს, რომელსაც იმისთვის იყენებ, რომ შენს საბანკო ანგარიშზე მოიპოვო წვდომა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პინ–კოდი დაიზეპირო და არავის გაუმხილო. როდესაც ბანკომატი მოგთხოვს პინ–კოდის შეყვანას, აკრიფე ეს კოდი, ოღონდ დარწმუნდი, რომ კლავიატურას სათანადოდ ეფარები, რათა უკან ან გვერდით მდგომმა ადამიანებმა არ დაინახონ შენი პინ–კოდი.

მიუთითე სასურველი თანხა და გამოიტანე ფული

ბანკომატი მოგთხოვს დაასახელო, თუ რა მოცულობის თანხის გატანა გსურს ანგარიშიდან. ჩვეულებრივ, ბანკომატი სტანდარტულ ჩამონათვალს გთავაზობს – მაგ. 5, 10, 20, 50, ან 100 ლარი – რომელთაგანაც შეგიძლია აირჩიო სასურველი მოცულობა. ამასთან, სურვილის შემთხვევაში, გაქვს შესაძლებლობა თავად მიუთითო განსხვავებული თანხა. ბანკები, როგორც წესი, აწესებენ შეზღუდვებს იმ თანხაზე, რომლის გატანაც ერთი ანგარიშიდან ერთი დღის განმავლობაში არის შესაძლებელი. ეს ლიმიტი დამოკიდებულია როგორც შენს მომსახურე ბანკზე, ისე შენი ბარათის ტიპზე.

შეამოწმე ნაშთი ანგარიშზე

ბანკომატის საშუალებით შესაძლებელია გარკვევა, თუ რა თანხა არის მოცემულ მომენტში შენს ანგარიშზე – სხვა სიტყვებით, შესაძლებელია ნაშთის შემოწმება. შესაბამისი ოპერაციის არჩევის შემთხვევაში ბანკომატი ამ რიცხვს ეკრანზე გაჩვენებს, ან მოგცემს საშუალება ამობეჭდო ქვითარი, რომელზეც ეს მოცულობა იქნება გამოსახული.

დაასრულე ოპერაცია

როდესაც განახორციელებ სასურველ ტრანზაქციას, უნდა მიჰყვე ეკრანზე მითითებულ დავალებებს, რათა დაიბრუნო ბარათი. ხშირ შემთხვევაში, ბანკომატმა შენი ბარათი შეიძლება თანხის მოცემამდე დააბრუნოს (შესაბამისი ხმოვანი სიგნალის თანხლებით) – ამ გზით, ბანკი თავიდან იცილებს ბარათის ბანკომატში ჩარჩენის რისკს. ამასთან, სანამ ბარათს დაგიბრუნებდეს, ბანკომატი, როგორც წესი, გეკითხება, თუ გსურს სხვა ტრანზაქციის განხორციელება. თუ დაასრულე ოპერაცია და გინდა შენი ბარათი მიიღო უკან, მაშინ უბრალოდ აირჩევ „არა“–ს. ამასთან, თუკი დააჭერ ღილაკს X, რომელიც, ჩვეულებრივ, წითლად არის აღნიშნული, მაშინ ავტომატურად დაასრულებ ოპერაციას და დაიბრუნებ ბარათს.

არ დაგავიწყდეს ბარათისა და ფულის გამოტანა!

როდესაც გეჩქარება, ძალიან ადვილია დაგავიწყდეს ფულის ან ბარათის ბანკომატიდან გამოტანა, მაგრამ ფრთხილად იყავი და დაიმახსოვრე, რომ ბანკომატით სარგებლობის დასრულების შემდეგ ბარათი და ფული დაუყოვნებლივ უნდა შეინახო საფულეში!